საჯარო სამართლის
იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების
სააგენტო

Legal Entity of Public Law
SOCIAL SERVICE
AGENCY

ს/კ 202178927

SSA 7 22 00629607

08/12/2022

მოქ. მარიამ შონიას

პ/ნ - 62002005748

ელექტრონული ფოსტის მისამართი:

Foi+request-1233-3349b12b@askgov.ge

ქალბატონო მარიამ,

სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ განხილულ იქნა სააგენტოს ელექტრონული ფოსტის მისამართზე მიმდინარე წლის 23 ნოემბერს შემოსული თქვენი განცხადება (სააგენტოში რეგისტ. დოკ. N570132, 24.11.2022 წ.), გარკვეული სახის საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე.

დასმულ საკითხთან დაკავშირებით, თანდართული ელექტრონული ფაილის (MS_xls-ის ფაილი) სახით, გიგზავნით საჯარო, სტატისტიკურ ინფორმაციას 2010-2022 წლებში „საარსებო შემწეობის“ მიმღები დევნილების შესახებ, რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით. ასევე, გიგზავნით აღნიშნულ ბენეფიციართა სტატისტიკურ მონაცემებს, სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილის შესაბამისად.

რაც შეეხება თქვენ მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას ბენეფიციართა ოჯახური მდგომარეობის თაობაზე, აღნიშნულზე პასუხის გაცემა სცილდება სააგენტოს უფლებამოსილებათა სფეროს, რამდენადაც, კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციიდან გამომდინარე, სააგენტო ადმინისტრირებას უწევს და ამუშავებს ბენეფიციართა იმ მონაცემებს, რაც სავალდებულოა სახელმწიფო პროგრამის და/ან გასაცემლის ადმინისტრირებისათვის.

აქვე გაცნობებთ, რომ 2010-2021 წლების მონაცემები ასახავს თითოეული საანგარიშო პერიოდის დეკემბრის თვის მდგომარეობას, ხოლო, 2022 წლის ინფორმაცია ნოემბრის თვის მიხედვითაა.

დანართი: MS_xls-ის ფაილი

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
თამილა ბარკალაია